პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 9 ოქტომბერი, 1942 წ. № 240 (6556). ფასი 15 კაპ

ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები სამამულო ომის დღეებში

სამამულო ომმა ახალი ამოცანები დააყენა ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების წინაშე. ფრონტის უზრუნველყოფა მაღალკვალიფიციური სამედიცინო პერსონალით, მედიკამენტებით, ყოველივე იმით, რაც საჭიროა მებრძოლთა ჯანმრთელობის დაცვისა და შენარჩუნებისათვის—პირველი რიგის ამოცანაა, რომელიც ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს უაღრესად პასუხსაგებ მოვალეობას აკისრებს. ბევრი სამედიცინო მუშაკი ფრონტზე წავიდა, ბევრმა მათგანმა თავი გამოიჩინა, როგორც მამაცმა საბჭოთა პატრიოტმა. სამედიცინო მუშაკების ეს თავდადება სამშობლოსათვის თითოეული საბჭოთა ადამიანის მხურვალე აღფრთოვანებას იწვევს. ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებული საბჭოთა სამედიცინო მუშაკები სოციალისტური სამშობლოს სახელოვანი შვილები არიან.

მაგრამ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მუშაკებს ამასთან ერთად სერიოზული პასუხისმგებლობა აკისრიათ უზრუნველჰყონ ზურგის შეუფერხებელი სანიტარულ-სამედიცინო მომსახურება.

ჰოსპიტლებში მყოფი დაჭრილი მებრძოლების ჯანმრთელობის აღდგენა, რათა ეს მამაცი პატრიოტები კვლავ მწყობრში ჩადგნენ გერმანელ ფაშისტ ყაჩაღთა წინააღმდეგ საბრძოლველად, წითელი არმიისათვის ჯანსაღი შევსების მიცემა, ბრძოლა გადამდებ სნეულებებთან, ჩვენი მოზარდი თაობის დაცვა ეპიდემიურ დაავადებათაგან, მედიკამენტებისა და სამედიცინო ინსტრუმენტების დამზადება — ცოტა სამუშაო როდია. ამ სამუშაოს წარმატებით ართმევენ თავს ჩვენი ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები, რომლებმაც სამხედრო ყაიდაზე გარდაქმნეს მუშაობა.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის სისტემაში შემავალი ორგანოების მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული: საწარმოების მუშა-მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა შრომის ნაყოფიერება, ახალი მედიკამენტების ათვისება და დამზადება, ადგილობრივი რესურსების მაქსიმალური გამოყენება, მკურნალობის ახალი მეთოდებისა და პრეპარატების აღმოჩენა, მოსახლეობის სანიტარულ-სამედიცინო გათვითცნობიერება. ამ უმნიშვნელოვანეს საქმეში მათ ყოველმხრივი დახმარება უნდა გაუწიონ ადგილობრივმა პარტიულმა, პროფესიულმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა.

ზამთარი ახლოვდება. საჭიროა აქედანვე უზრუნველვყოთ ყველა სავადმყოფოები, პოლიკლინიკები, დისპანსერები, კონსულტაციები სათბობი მასალებით. აქ ლოდინი, საქმის გადადება თოვლის მოსვლამდე ან ყინვების დაწყებამდე—დიდი შეცდომაა.

ლენინ-სტალინის პარტია, საბჭოთა მთავრობა უდიდეს მზრუნველობას იჩენენ მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმისადმი და ყველა პირობაა შექმნილი, რომ ამ მხრივ შეფერხებებს ადგილი არ ექნეს. მხოლოდ საჭიროა ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებისა და სამედიცინო მუშაკების მეტი ინიციატივა, მეტი უნარი. არ შეიძლება მთლიანად დავემყაროთ მედიკამენტების ცენტრალიზებული წესით მიღებას, მაშინ როცა ადგილობრივ შეიძლება მობილიზაცია გავუკეთოთ რესურსებს, ნედლეულს, გამოვიყენოთ იგი, დავამზადოთ სამედიცინო პროდუქცია.

უნდა გავწიოთ მედიკამენტების მკაცრი ეკონომია. ეს ერთნაირად ეხება როგორც მოსახლეობას, ისე სამედიცინო მუშაკებს, არავითარი გამართლება არა აქვს იმ გარემოებას, როცა არა საჭირო რაოდენობით ინახავენ წამლებს. გამოუყენებლობის გამო ისინი ფუჭდება და ვზარალობთ.

ერთერთი უაღრესად სერიოზული საკითხია თვით მოსახლეობის ჩაბმა სანიტარულ-ჰიგიენურ თავდაცვაში. უნდა დავეუფლოთ სამედიცინო დახმარებისა და თვითდახმარების ელემენტარულ წესებს. თვით მოსახლეობა უნდა დაინტერესდეს, რომ თავშესაფრებსა და ხვრელებში დაცულ იქნას სანიმუშო სანიტარულ-ჰიგიენური პირობები.

ამასწინათ, კვებისა და კომუნალური ობიექტების შემოწმების დროს, სანიტარული წესების დარღვევისათვის სასამართლო პასუხისგებაში მიცემულ იქნა 3 მოქალაქე. რამდენიმეს ჯარიმა დაედო. თითოეულ საბჭოთა მოქალაქეს კარგად უნდა ახსოვდეს, რომ მასზე ბევრად არის დამოკიდებული სანიტარულ-ჰიგიენური პირობების უზრუნველყოფა და ამ მხრივ იგი უნდა დაეხმაროს ჯანმრთელობის ორგანოებს.

მუშა-მოსამსახურეების სანიტარულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების საქმეში გარკვეული მოვალეობა აკისრიათ საწარმოთა ხელმძღვანელებს. ასეთივე მოვალეობა ეკისრებათ პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელებს. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ყველა პირობები შევქმნათ, რათა ადგილი არ ექნეს დაავადებას, ინფექციას, დროზე მივიღოთ პროფილაქტიკური ზომები. თავდაცვის საწარმოებში, სადაც გმირი წითელი არმიისათვის იარაღი და საომარი მასალები მზადდება ჰიტლერული ხროვის მოსასპობად, ერთი საათიც არ უნდა გამოვეტაცოს ავადმყოფობამ ჩვენი მიზეზით.

ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მუშაკებს აკისრიათ უმნიშვნელოვანესი საქმე. ეს არის საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობის დაცვა. ეს არის ფრონტისა და ზურგის სანიტარულ-სამედიცინო მომსახურება. და რაც უფრო წინ წავწევთ ამ საქმეს, გავაუმჯობესებთ მას, მით უფრო ხელს შევუწყობთ საძულველ მტერზე ჩვენს გამარჯვებას.

სსრ კავშირის მედლებით დაჯილდოება

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოებული არიან:

მედლით „მამაცობისათვის“:

1. წითელარმიელი ალექსანდრე არტემის-ძე **ბენიძე**
2. პოლიტხელი ვლადიმერ სიმონის-ძე **ლურსმანაშვილი**
3. სერჟანტი სიმონ მაქსიმეს-ძე **ცენტარაძე**.

მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“:

1. წითელარმიელი ნიკოლოზ იოსების-ძე **ფაცაცია**
2. სერჟანტი არქიპო მაქსიმეს-ძე **ხვედელიანი**
3. წითელარმიელი იორამ ივლიანეს-ძე **შვანგირაძე**
4. წითელარმიელი ივანე საბას-ძე **აბულაშვილი**
5. წითელარმიელი ილია დიმიტრის-ძე **კოდაგოშვილი**
6. უმცროსი ლეიტენანტი დავით ბესარიონის-ძე **ლოლუა**.

სტალინგრადის გარეუბნებში

მოქმედი არმია, 8 ოქტომბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). მტრის პოზიციები რაღაც 800 მეტრზეა 6 ნაწილის სამეთაურო პუნქტთან: აქ მყუდრო საათები არ არის. სკდება ნაღმები და ყუმბარები; მტრის თვითმფრინავები მალიმალ ჩნდებიან ჰაერში და ყოველ ცოცხალ არსებას უშენენ.

გააფთრებული იერიშების დღეებს ასეთივე მოუსვენარი ღამეები სცვლის. მაგრამ როდესაც ბნელი ღამით ვოლგის დასავლეთ ნაპირზე, სტალინგრადში გადახვალ, პირველად მოხვდები მებრძოლი ნაწილის განლაგებაში, დიდი გულდამშვიდების გრძნობას განიცდი. ბომბებისა და ნაღმების გრიალის მიუხედავად, აქ თავდაცვის ხაზზე ყველა აკეთებს თავის საქმეს. აი მზარეული ოჯახურად ფუსფუსებს სამზარეულოსთან. მარჯვე და დინჯ ქალიშვილებს გასაოცარი სისწრაფით მიაქვთ ბლინდაჟებში ოხშივრიანი საჭმელი. მუშაობს „ვოენტორგის“ მაღაზია. ყველამ—მებრძოლით დაწყებული მეთაურამდე—იცის: აქედან წასვლა არ შეიძლება!

ბრძოლების ცენტრმა უკანასკნელ დროს სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთ გარეუბანზე გადაინაცვლა. მტერი, რადაც უნდა დაუჯდეს, ცდილობს აქ ვოლგისკენ გამოიჭრას. ჩვენი მებრძოლები განსაკუთრებული სიმტკიცით იგერიებენ მტრის რიცხვობრივად ჭარბი ძალების იერიშებს. ხდება ხოლმე ისე, რომ რაღაც ათიოდე მეტრი ჰყოფს ჩვენს მებრძოლებს გერმანელ ფაშისტთა ჯარებისაგან. ორი თვისა და მეტი ხნის გააფთრებულმა ბრძოლებმა უაღრესად ძნელ ვითარებაში ბევრი რამ ასწავლა ჩვენს მებრძოლებს, გამოაწრთო ისინი, კიდევ უფრო მტკიცე და შეუპოვარი გახადა. ბრძოლა სწარმოებს თითოეული სახლისათვის, თითოეული ქვისათვის.

15 თვეა ეომება გერმანელებს წითელარმიელი ივანე ბახტინი. მან განიცადა გამარჯვების სიხარულიც და დამარცხების სიმწარეც. არაერთხელ მოხვედრილა იგი რთულ მდგომარეობაში, არაერთხელ გასჭირებია, მაგრამ სიმტკიცისა და შეუპოვრობას, სიდინჯისა და ბუნებრივ მოსაზრებულობას უშველია მისთვის. ივანე ბახტინი წარსულში ტრაქტორისტი იყო, ახლა კი მეტყვიამფრქვევეა. ომის პირველი დღიდანვე არ განშორებია იგი თავის ხელის ტყვიამფრქვევს—ერთგულ მეგობარსა და თანაშემწეს. მარტო სტალინგრადისათვის ბრძოლებში ბახტინმა 126 გერმანელი გასწყვიტა.

ბრძოლა, რომელსაც ჩვენი მებრძოლები სტალინგრადის ქუჩებში ეწევიან, ბევრად განსხვავდება დასახლებული პუნქტების გარეთ წარმოებული საომარი მოქმედებისაგან. ქუჩის ბრძოლაში ზოგჯერ ძალიან ძნელია მტრის აღმოჩენა, მისი ძალებისა და საჭურველის გამორკვევა. აქ არ არის ზურგი და ფრონტი. ყოველი სახლი ზღუდეა. ყოველ ქვას უკან საცეცხლე პოზიციაა.

ერთხელ ტანკისტებმა სთხოვეს ივანე ბახტინს, გამოარკვიე გერმანელთა საცეცხლე წერტილები ერთ-ერთ ქუჩაზეო. ბახტინმა თან წაიყვანა წითელარმიელი ჩორნიხი, რომელიც მას მეორე ნომრად ჰყავდა, და ნაჩქარევ ქუჩაში შეიპარა. ორივენი კანალიზაციის ლიუკში ჩაძვრნენ და იცდიდნენ. იქიდან მოსჩანდა, თუ როგორ გადარბოდნენ გერმანელები სახლიდან სახლში. მოუთმენელი ბიჭი, წითელარმიელი ჩორნიხი, რომელიც თვალს ადევნებდა ფრიცების გადარბენ-გადმორბენას, სულ მუდამ აჩქარებდა ბახტინს.

— რას უყურებ, ხომ ხედავ, გერმანელები არიან!

— ნუ ჩქარობ, დაე ეს ფაშისტები მოსასინჯად მოვიდნენ. გათამამდება გერმანელი, მთელ ჯოგებად წამოვა!

ბახტინი როდი შემცდარა. ცოტა ხნის შემდეგ ათობით გერმანელები გამოჩნდნენ ერთი სახლის ჭიშკარში. აი სწორედ აქ ამუშავდა ხელის ტყვიამფრქვევი. რამდენიმე ჯერით ფაშისტები გაწყვეტილ იქნენ, უკლებლივ ყველანი.

ამასობაში გერმანელებმა, რომლებიც სახლებში იყვნენ ჩამსხდარნი, ქუჩის გასწვრივ ცეცხლი გააჩაღეს ფანჯრებიდან და სხვენებიდან. ივანე ბახტინიც მხოლოდ ამას ელოდა—მან ჩაინიშნა მოწინააღმდეგის საცეცხლე წერტილები და ამის შესახებ აცნობა ტანკისტებს. მოსულმა ტანკისტებმა ყუმბარებით მოსპეს გერმანელთა საცეცხლე პოზიციები.

ნ. მარკოვსკი

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

8 ოქტომბრის დილის ცნობა

7 ოქტომბრის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს მტერთან სტალინგრადის რაიონში და მოზდოკის რაიონში. სხვა ფრონტებზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

სტალინგრადის რაიონში გრძელდებოდა გააფთრებული ბრძოლები. ჩვენმა არტილერისტებმა მოიგერიეს გერმანელთა იერიშები და გასწყვიტეს მტრის ერთ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი, მოსპეს გერმანელთა 5 ქვემეხი, 70-მდე ავტომანქანა, 40 საზიდარი საომარ მასალიანად, ჩაახშეს 6 საარტილერიო და 10 ნაღმსატყორცნი ბატარიის ცეცხლი. მტრის ჯარებზე გვარდიელ ნაღმსატყორცნელთა ცეცხლითი თავდასხმებით დაზიანებულია და დამწვარია 8 ტანკი, გაფანტულია და მოსპობილია გერმანელთა ერთ ასეულამდე ქვეითი ჯარი.

* * *

სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით 6 ნაწილის ტანკისტები მტრის განლაგებაში შეიჭრნენ, მოსპეს მიწაში ჩაფლული გერმანელთა 2 ტანკი, 8 ქვემეხი, 5 ავტომანქანა საომარ მასალიანად, 3 სატყვიამფრქვევო წერტი და გასწყვიტეს 250 ჰიტლერელი. სხვა უბანზე გერმანელთა ქვეითი ბატალიონი ცდილობდა იერიში მოეტანა ჩვენს პოზიციებზე. ჩვენმა ქვეგანაყოფებმა ჰიტლერელებს თოფისა და ტყვიამფრქვევის ცეცხლი შეაგებეს და აიძულეს ისინი უკან დაეხიათ.

* * *

მოზდოკის რაიონში 6 მსროლელთა ნაწილის მებრძოლებმა მტრის იერიში მოიგერიეს და მოსპეს 15 ავტომანქანა და ერთ ასეულამდე ჰიტლერელი. უფროსმა ლეიტენანტმა სიმონიანმა ქვემეხი ღია პოზიციაზე გამოაგორა და მარჯვე სროლით მტრის ტანკი გაანადგურა. სნაიპერმა ამხ. ნიკოლაენკომ 16 ჰიტლერელი გასწყვიტა.

* * *

ნოვოროსიისკის სამხრეთ - აღმოსავლეთით ჩვენი ნაწილები ბრძოლებს ეწეოდნენ ერთი მნიშვნელოვანი მაღლობის დასაკავებლად. ამ ბრძოლებში მოსპობილია გერმანელთა 3 დაზგის ტყვიამფრქვევი, ნაღმსატყორცნი ბატარია და გაწყვეტილია 100-მდე გერმანელი და რუმინელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

ლენინგრადის ფრონტზე ჩვენი ქვეგანაყოფებისა და მზვერავი ჯგუფების აქტიური მოქმედებით ორი დღის განმავლობაში გაჟლეტილია 300-მდე ჰიტლერელი. მოსპობილია 11 ტყვიამფრქვევი, ნაღმსატყორცნი ბატარია, დანგრეულია მტრის 12 მიწური საცეცხლე წერტი და 5 ბლინდაჟი. მებრძოლთა ჯგუფმა უფროს სერჟანტ რეპკინის მეთაურობით გადალახა მავთულხლართიანი დაბრკოლება, სწრაფად შეიჭრა მტრის სანგრებში და აიძულა გერმანელები ხელჩართულ ბრძოლაში ჩაბმულიყვნენ. სერჟანტმა დოროხოვმა 10-ზე მეტი ჰიტლერელი გაჟლიტა. ჩვენმა მებრძოლებმა რამდენიმე ათეული ჰიტლერელი დახოცეს, ააფეთქეს მტრის საწყობი საომარ მასალიანად და თავის ქვეგანაყოფში დაბრუნდნენ.

* * *

გერმანელთა 251-ე ქვეითი დივიზიის 471-ე პოლკის მე-8 ასეულის ტყვე ჯარისკაცმა გიუნტერ რაიშერტმა განაცხადა: „10 დღის განმავლობაში 471-ე პოლკმა მოკლულთა და დაჭრილთა სახით 1.000-ზე მეტი კაცი დაჰკარგა. მე-8 ასეულში მწყობრიდან გამოვიდა პირადი შემადგენლობის ორი მესამედი. უკანდახევისას ჩვენ მივატოვეთ მძიმე ტყვიამფრქვევები და სხვა საჭურველი. ომის დაწყებიდანვე ფრონტზე მყოფი ჯარისკაცები ამტკიცებენ, რუსები ახლა გაცილებით უკეთ არიან შეიარაღებულნი, ვიდრე შარშან, და უმაგალითო გააფთრებით იბრძვიან. გერმანელ ჯარისკაცებს უკვე ბევრჯერ ეუბნებოდნენ, ომი მალე გათავდებაო. წინათ მათ სჯეროდათ ეს, მაგრამ ახლა ყველა ხედავს, რომ კიდევ ერთი ზამთრის გატარება მოგვიხდება აღმოსავლეთის ფრონტზე. ზოგიერთი ჯარისკაცი შიშს გამოსთქვამს, რუსეთის მეორე ზამთარი კიდევ უფრო მეტ მსხვერპლს მოითხოვს, ვიდრე პირველი, და გერმანიის განადგურებით გათავდებაო“.

* * *

წითელი არმიის მხარეზე გადმოსულმა გერმანელთა 112-ე ქვეითი დივიზიის ეფრეიტორმა ერნსტ მ-მ განაცხადა: „გერმანიიდან წამოსვლისას ბევრი ჯარისკაცი ერთმანეთში ამბობდა: „რუსეთში ბევრი რამ არის, რაც შეიძლება შევიძინოთ. იქ შეიძლება ბლომად ვძარცვოთ. აბა ერთი რუსებმა იწყინონ ესა, ჩვენ მათ მალე გავუსწორდებით ანგარიშს. კედელზე მიყენება ჩვენ ვიცით“. შემდეგში მე ხშირად მიხდებოდა მენახა გერმანელი ჯარისკაცების სისასტიკე და არაადამიანური მოპყრობა გლეხებისადმი. სახლებში შესვლისას ჯარისკაცები განგებ უხეშად მოითხოვდნენ მიეცათ მათთვის ძვირფასი ნივთები და სურსათი. მე ვნახე, როგორ წაართვეს გლეხს ძროხა ჩვენი ასეულის ჯარისკაცებმა ერთ სოფელში, რეპრინოს მახლობლად. რუსი მოსახლეობის ძარცვა რაიმე სამარცხვინოდ არ ითვლება. პირიქით, ოფიცრები აქეზებენ ძარცვას და თვითონ. უცერემონიოდ მიაქვთ ყველაფერი, რაც თვალში მოხვდებათ“.

* * *

კოპენჰაგენში (დანია) მოხდა შეტაკება ერთი მხრივ მოსახლეობასა და მეორე მხრივ ოკუპანტებსა და მათ ხელქვეითთა შორის. დანიელმა პატრიოტებმა ჩაფუშეს ჰიტლერელების მიერ მოწყობილი მიტინგი. როცა ფაშისტი ორატორი ტრიბუნაზე ავიდა, ხალხიდან გაისმა შეძახილები: „ძირს გამცემნი!“, „გერმანელები უნდა წავიდნენ დანიიდან!“ რამდენიმე კაცმა ჰიტლერელი ტრიბუნიდან ჩამოათრია და სცემა. გერმანელმა ჯარისკაცებმა სროლა ასტეხეს და რამდენიმე პატრიოტი დასჭრეს.

8 ოქტომბრის საღამოს ცნობა

8 ოქტომბრის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს მტერთან სტალინგრადის რაიონში და მოზდოკის რაიონში. სხვა ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

ჩვენმა ხომალდებმა ბალტიის ზღვაში ჩაძირეს გერმანელთა ორი ტრანსპორტი 12.000 ტონა საერთო წყალწყვისა.

* * *

7 ოქტომბრის განმავლობაში ჩვენმა ავიაციამ ფრონტის სხვადასხვა უბნებზე მოსპო ან დააზიანა გერმანელთა 15-მდე ტანკი და ჯავშნიანი მანქანა, 30 ავტომანქანა ჯარებიანად, 4 ავტოცისტერნი საწვავიანად, ააფეთქა საომარ მასალათა საწყობი, ჩაახშო 9 საარტილერიო ბატარიის ცეცხლი, გაჰფანტა და ნაწილობრივ მოსპო მოწინააღმდეგის ორ ასეულამდე ქვეითი ჯარი.

* * *

სტალინგრადის რაიონში ჩვენი ჯარები გააფთრებულ ბრძოლებს ეწეოდნენ გერმანელ ფაშისტთა ჯარებთან. მტრის ქვეითმა ჯარმა 50 ტანკის დახმარებით გააფთრებული იერიში მოიტანა ჩვენს პოზიციებზე. განსაკუთრებით შეუპოვარი ბრძოლები სწარმოებდა ერთი ქარხნის მიმართულებით. ჰიტლერელთა ყველა იერიში მოგერიებულია მათთვის დიდი ზარალის მიყენებით. მხოლოდ ერთ ადგილას მტერმა მოახერხა დასახლებული პუნქტის ორი ქუჩის დაკავება. დღის განმავლობაში ჩვენმა ნაწილებმა დააზიანეს და დასწვეს გერმანელთა 16 ტანკი და მოსპეს გერმანელთა ოთხ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი. გვარდიელმა ნაღმსატყორცნელებმა ცეცხლი დაუშინეს და გასწყვიტეს 400-მდე ჰიტლერელი, დასწვეს 18 ავტომანქანა ჯარებიანად და საომარ მასალიანად.

* * *

სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი ნაწილები ცეცხლით ბრძოლას ეწეოდნენ მტერთან და ცალკეულ უბნებზე იგერიებდნენ ჰიტლერელთა მცირე ჯგუფების იერიშებს. ნ ნაწილის არტილერისტებმა და ნაღმსატყორცნელებმა გასწყვიტეს გერმანელთა ერთ ასეულამდე ქვეითი ჯარი, მოსპეს 2 ქვემეხი, 8 ტყვიამფრქვევი, ააფეთქეს საომარი მასალის საწყობი და დაანგრიეს მოწინააღმდეგის 11 ბლინდაჟი. ჩვენმა მებრძოლებმა თოფისა და ტყვიამფრქვევის ცეცხლით ჩამოაგდეს გერმანელთა სამი თვითმფრინავი. მზვერავთა ჯგუფი უფროს ლეიტენანტ პანჩენკოს მეთაურობით მტრის სანგრებში შეიჭრა და ხიშტით შეტაკებაში გასწყვიტა 20 ჰიტლერელი. სნაიპერებმა ამხ. ოსკინმა, ახშიმოვმა და ჟილინმა ორი დღის განმავლობაში 50 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი გაჟლიტეს.

* * *

მოზდოკის რაიონში ჩვენი ჯარები იგერიებდნენ მტრის იერიშებს. ერთი დასახლებული პუნქტისათვის ბრძოლაში ჩვენმა მებრძოლებმა გასწყვიტეს ორ ასეულამდე გერმანელი ჯარისკაცი, მოსპეს 2 ტყვიამფრქვევი, ნაღმსატყორცნი და 10 ავტომანქანა. წამოღებულია დავლა: ჯავშნიანი მანქანა, 28 ტყვიამფრქვევი, 46 ავტომატი და ბევრი ვაზნა.

* * *

სინიავინოს რაიონში მტერმა ერთ პოლკზე მეტი ქვეითი ჯარის ძალებით ტანკების დახმარებით დღის განმავლობაში ექვსჯერ უშედეგოდ მოიტანა იერიში ჩვენს პოზიციებზე. ჩვენმა ნაწილებმა ჰიტლერელთა ყველა იერიში მოიგერიეს. ამ ბრძოლის შედეგად მოსპობილია გერმანელთა 9 ტანკი და 600-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

ორიოლელ პარტიზანთა რამდენიმე რაზმმა 17 სექტემბრიდან 30 სექტემბრამდე გასწყვიტა უნგრელთა 108-ე ქვეითი დივიზიის 650 ჯარისკაცი და ოფიცერი. 4 ოქტომბერს პარტიზანთა ჯგუფმა ლიანდაგიდან გადააგდო გერმანელ ფაშისტ ოკუპანტთა სარკინიგზო ეშელონი. დამტვრეულია ორთქლმავალი, 4 ვაგონი ჯარისკაცებიანად და 44 ვაგონი ავტომანქანებიანად და საომარ მასალიანად.

* * *

უნგრელთა 1-ლი მოტობრიგადის მე-3 ბატალიონის 1-ლი ასეულის ტყვე ჯარისკაცმა ანდრაშ ტეშმა განაცხადა: „ექვსი დღის ბრძოლებში ჩვენს ბატალიონს მძიმე ზარალი მოუვიდა. პირველ ასეულში მწყობრიდან გამოვიდა 126 კაცი. დიდი ზარალი მოუვიდათ დანარჩენ ასეულებსაც. სექტემბერში ბრიგადამ მიიღო შევსება 600 კაცის რაოდენობით. მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ რუსი მფრინავები თავს დაესხნენ ჩვენს ავტოკოლონას და მოსპეს 30 ავტომანქანა ჯარისკაცებიანად. ერთი კვირის წინათ ჩვენ იერიშზე გადაგვიყვანეს პირდაპირ რუსთა ტყვიამფრქვევების ცეცხლში. ზარალი საშინელი იყო... ფრონტზე რომ მოვდიოდით, ჩვენ ვიცოდით, რომ აქ დაღუპვა მოგველის“.

* * *

მიღებულია ცნობა გერმანელი ფაშისტი არამზადების მიერ ბელორუსიის სს რესპუბლიკის ქალაქ პოლოცკში ჩადენილ დანაშაულობათა შესახებ. ამ ქალაქში ჰიტლერელებმა პასპორტების ხელახალი რეგისტრაცია გამოაცხადეს, ბევრ საბჭოთა მოქალაქეს პასპორტები ჩამოართვეს ვითომ შესამოწმებლად. 21 სექტემბერს გერმანელთა კომენდატურამ მცხოვრებთა ჯგუფი დაიბარა დოკუმენტების მისაღებად. კომენდატურაში გერმანელმა ექიმებმა სამედიცინო შემოწმებაში გაატარეს საბჭოთა მოქალაქეები და ძალით გამოუღეს სისხლის დიდი დოზები. გამორკვეულია, რომ სისხლის დიდი დაკარგვის გამო 40-ზე მეტი კაცი გარდაიცვალა.

* * *

ოქტომბრის დამდეგს იუგოსლავიელი პარტიზანები გააფთრებულ ბრძოლებს ეწეოდნენ გერმანელ-იტალიელ ოკუპანტთა ჯარებთან. დონიი-ვაკუფის მახლობლად ერთ-ერთ ბრძოლაში პარტიზანებმა 500-მდე გერმანელი და იტალიელი ჯარისკაცი და ოფიცერი დახოცეს და დასჭრეს.

მოზდოკის რაიონში

მოქმედი არმია, 8 ოქტომბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). მოზდოკის რაიონში ჩვენი ჯარები გააფთრებულ ბრძოლებს განაგრძობდნენ მტრის მოტოქვეით ჯარსა და ტანკებთან. გერმანელები არავითარ ზარალს ანგარიშს არ უწევენ და შეუპოვრად მოისწრაფვიან წინ. საბჭოთა ჯარები აკავებენ მტრის შემოტევას და ურტყამენ მას.

განსაკუთრებით სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა ერთ უბანზე. 6 ნაწილის მებრძოლებმა მტკიცედ მოიგერიეს ჰიტლერელთა რამდენიმე იერიში. ამ უბანზე ჩვენმა მებრძოლებმა მოსპეს 100-ზე მეტი ფაშისტი, მტრის რამდენიმე ტანკი და 2 ავტომანქანა. წამოყვანილია ტყვეები და წამოღებულია დავლა.

მამაცურად მოქმედებენ საბჭოთა არტილერისტები. მტრის ტანკები მთელი სიჩქარით მოდიოდნენ ბატარიის საცეცხლე პოზიციაზე. არტილერისტები მტრის მანქანებს მარჯვე ცეცხლით შეხვდნენ. ქვემეხის მეთაურმა ზახაროვმა გრანატებით ცეცხლი გაუჩინა ფაშისტთა სამ ტანკს. გერმანელთა უზარმაზარი ტანკი კლიუჩკოვის გუნდის ქვემეხზე წამოვიდა. არტილერისტებმა ის იყო სცადეს ზალპი დაეხალათ მტრის მანქანისათვის, მაგრამ ქვემეხი მწყობრიდან გამოვიდა. როცა ზახაროვმა დაინახა, რომ ამხანაგები გასაჭირში ჩავარდნენ, მან სწრაფად გამოსცვალა პოზიცია და სულის დროსავე ორი ყუმბარით მტრის ტანკი დააზიანა.

მტერმა [illegible] ერთი ჩვენი ქვეგანაყოფის შევიწროება. იმ ქვემეხის საცეცხლე პოზიცია, რომელსაც ივოლგა მეთაურობს, დარტყმის საფრთხეში აღმოჩნდა. „ადგილიდან არ დაიძრათ!—უბრძანა ივოლგამ, — უკანდახევის ბრძანება არა ყოფილა“.

მტრის სამი ტანკი ერთი მუჭა მამაცების წინააღმდეგ მოდიოდა. გაისმა ორი გასროლა. მეწინავე ტანკს ალი მოედო, ორი სხვა სასწრაფოდ უკან გაბრუნდა.

გ. ოშაროვსკი

სნაიპერთა საბრძოლო ანგარიში მატულობს

ბრიანსკის ფრონტი, 8 ოქტომბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). მარჯვედ მუსრავენ მტერს ნ ქვეგანაყოფის სნაიპერები. რამდენიმე დღის განმავლობაში სნაიპერებმა 283 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი მოსპეს, რაზედაც სულ 285 ვაზნა დახარჯეს.

სნაიპერებს შარპილოსა და მურზას ფუჭად არ დაუხარჯავთ ჯერ არც ერთი ვაზნა. მათ მიერ ნასროლი ყოველი ტყვია მიზანს ხვდება. შარპილო და მურზა ყოველთვის ერთად მოქმედებენ. მურზამ სნაიპერული შაშხანა 32-ჯერ ისროლა და 32 ჰიტლერელი მოჰკლა. მისმა მეგობარმა შარპილომ 27 ვაზნა დახარჯა და სამარეში გაგზავნა 27 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

საოქტომბრო საჩუქრები გმირ წითელ არმიას

საქართველოს ენერგეტიკული სამმართველოს მუშაკებმა დაიწყეს მებრძოლებისათვის საოქტომბრო საჩუქრების შესაძენი თანხების შეგროვება. შეგროვებული თანხებით დამზადებული იქნება სურსათ-სანოვაგისა და ფართო მოხმარების საგნების ინდივიდუალური ამანათები. საჩუქრებში შედის პირსახოცი, ცხვირსახოცი, სამართებელი, თამბაქო, ხილი და სხვ.

თბილისის ფანერის ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა რამდენიმე დღის განმავლობაში შეაგროვეს ორი ათას მანეთზე მეტი, რითაც გამზადებული იქნება თამბაქოს, ხილისა და მაგარი სასმელების რამდენიმე ამანათი.

ა. შ. შტატების პრესა კომენტარს უკეთებს ამხანაგ ი. ბ. სტალინის პასუხს ამერიკელი კორესპონდენტისადმი

ნიუ-იორკი, 8 ოქტომბერი (საკდესი). ამერიკული გაზეთები კომენტარს უკეთებენ ამხანაგ ი. ბ. სტალინის პასუხს ასოშიეიტედ პრესის კორესპონდენტის კითხვებზე.

გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსში“ გამოქვეყნებულ სტატიაში ნათქვამია: „აშკარაა, სტალინმა თავისი წერილი იმიტომ დასწერა, რომ მას მიაჩნია—ინგლისელ და ამერიკელ ხალხებს უფრო მეტად სურთ მეორე ფრონტის გახსნა, ვიდრე მათ ლიდერებსო“.

„რუსები,—სწერს გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი“,—ყოველთვის გულახდილად გამოსთქვამენ იმას, რაც მათი აზრით უცილობელია. აშკარაა, ფაქტები ნათელია. სტალინს ნაკლებეფექტიანად მიაჩნია მოკავშირეთა დახმარება, მათ შორის საჰაერო დაბომბვანი დასავლეთში, და მეორე ფრონტს კვლავ განიხილავს, როგორც პირველხარისხოვანი მნიშვნელობის საკითხს. ინგლისისა და ამერიკის მოსახლეობის აზრი ეჭვებს აღარ სტოვებს. უილკიმ სწორად განაცხადა, რომ რიგითი მოქალაქე მზად არის დაუყოვნებლივი მოქმედებისათვის. ხალხის ზემოქმედებას არ შეუძლია გადასწყვიტოს მეორე ფრონტის გახსნის დროის საკითხი. ხალხს შეუძლია ნათლად სთქვას, რომ იგი მოელის რაც შეიძლება უფრო ჩქარ მოქმედებას. თუ ეს ნათლად არის დემონსტრირებული, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ლიდერები უახლოეს ხანში დაიწყებენ ეფექტიან მოქმედებას“.

„სტალინი,—სწერს გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“,—მეტად ერთგულია რუსეთისა და მას არ შეუძლია სდუმდეს მაშინ, როდესაც რუსებს თავიანთ თავზე გადააქვთ გერმანიის სამხედრო და სამრეწველო ძალთა შეტევითი სიმძლავრის მთელი სიმძიმე. ყოველი რუსი [illegible] და ამერიკელებს აკისრონ ტვირთის ნაწილი“. გაზეთი იმედს გამოსთქვამს, რომ ამერიკელი ხალხი და ა. შ. შტატების მთავრობა სიმპატიითა და გაგებით უპასუხებენ სტალინის სიტყვებს. გაზეთი აკრიტიკებს ზოგიერთი წრის მისწრაფებას იმისაკენ, რომ საბჭოთა კავშირის დაცვის საკითხი განხილულ იქნას როგორც წმინდა რუსული პრობლემა. „რუსები, იცავენ რა თავიანთ თავს, — სწერს გაზეთი, —დიდ დახმარებას უწევენ შეერთებულ შტატებს“. შემდეგ გაზეთი აღნიშნავს, რომ „არ კმარა აღტაცებული ვიყოთ სტალინგრადის გმირი დამცველებით. რუსებს დახმარება ესაჭიროებათ. აშკარაა, სტალინი ამბობს, რომ ინგლისელები და ამერიკელები თავიანთ ვალდებულებებს არ ასრულებენ. არ არსებობს საფრთხე, რომ დიეპის რეიდის შემდეგ დაწყებული იქნება ნაადრევი შეჭრა. პირიქით, მეტისმეტად ფრთხილი ამერიკელი სტრატეგების არსებობა იმის საწინდარია, რომ ნაადრევი მოქმედება ნაკლებ მოსალოდნელია. რიგითი მოქალაქენი წინანდებურად უნდა ენდონ თავიანთ სამხედრო ლიდერებს, მაგრამ მათ უნდა მოითხოვონ შეტევითი სულისკვეთება, აგრეთვე იმის შეგნება, რომ საბჭოთა კავშირისადმი ეფექტიანი დახმარება მნიშვნელოვნად ამცირებს ომის ხანგრძლივობას“.

ინგლისის პრესა ამხანაგ ი. ბ. სტალინის მიერ ამერიკის სააგენტოს კორესპონდენტისათვის გაცემული პასუხის შესახებ

ლონდონი, 8 ოქტომბერი (საკდესი). გაზეთი „ივნინგ ნიუსი“ მოწინავე სტატიაში კომენტარს უკეთებს ამხანაგ ი. ბ. სტალინის პასუხს ამერიკელი კორესპონდენტისადმი და სწერს: „იშვიათად ყოფილა, რომ ასე ცოტა სიტყვას ესოდენ დიდი რეზონანსი გამოეწვიოს, როგორიც გამოიწვია პრემიერ-მინისტრ სტალინის თავაზიანმა, მაგრამ ლაკონიკურმა პასუხმა ზოგიერთ კითხვაზე მეორე ფრონტის შესახებ“.

გაზეთ „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტის“ დიპლომატიური მიმომხილველი სწერს, რომ პასუხი „სრულიად ნათელია ფორმით და უზადოა შინაარსით“.

გაზეთმა „დეილ უორკერმა“ გამოაქვეყნა მთელ რიგ პროფკავშირულ მოღვაწეთა განცხადებანი ამხანაგ სტალინის მიერ ამერიკელი კორესპონდენტისათვის გაცემული პასუხის გამო.

მშენებელ მუშათა ტრედ-უნიონის თავმჯდომარემ ჰარი ადამსმა განაცხადა: „ცხადია, რომ თუ სტალინი განცხადებას აკეთებს ისე, როგორც მან გააკეთა, მაშინ მეორე ფრონტის გახსნის საჭიროება სასწრაფო და გადაუდებელია“.

თამბაქოს მრეწველობის მუშათა ტრედ-უნიონის მდივანმა ჰერსი ბელჩერმა განაცხადა: „მე მიმაჩნია, რომ ყოველმა კაცმა ინგლისში სერიოზული დასკვნა უნდა გამოიტანოს სტალინის განცხადებიდან. ცხადია, რომ თუ უახლოეს დროში რაიმე არ იქნა დაწყებული, მაშინ ინგლისელ ხალხს დიდი საფრთხე მოელის“.

ლესტერის ამას წინათ არჩეულმა ლორდ-მერმა ტეილერმა სთქვა: „სტალინი სავსებით მართალია, როცა საკითხს სწორედ ამგვარად აყენებს. თუ ჩვენ ახლა ჯერ კიდევ მზად არა ვართ, უკვე დადგა დრო მზად ვიყოთ. ხალხი დიდი ხანია ელოდება მეორე ფრონტის გახსნას“.

ავსტრალიის პრესა ამხანაგ ი. ბ. სტალინის მიერ ამერიკელი კორესპონდენტისათვის გაცემული პასუხის შესახებ

სიდნეი, 7 ოქტომბერი (საკდესი). ავსტრალიის გაზეთებმა თვალსაჩინო ადგილას გამოაქვეყნეს ამხანაგ ი. ბ. სტალინის პასუხი ასოშიეიტედ პრესის კორესპონდენტისადმი.

გაზეთი „დეილი ტელეგრაფი“, რომელსაც მოწინავე სტატიაში მოჰყავს ციტატი სტალინის „პირდაპირი განცხადებიდან“, სწერს: „სტალინი გამოსთქვამს იმას, რასაც ყველა რუსი და ბევრი ინგლისელი და ამერიკელი გრძნობს. ადამიანთა უმრავლესობას ესმის, რომ ინგლისის მდგომარეობა სასოწარკვეთილი იქნებოდა, რუსები რომ უდიდესი თავგანწირვით არ ეწეოდნენ ბრძოლას და ამით ხელს არ უშლიდნენ ჰიტლერულ გერმანიას თავისი ძლიერება თავს დაატეხოს ინგლისს. რუსებმა თვალსაჩინოდ დაამტკიცეს, რომ შეტევითი ომი თავდაცვის ერთადერთ საიმედო მეთოდს წარმოადგენს“.

მებრძოლი საფრანგეთის წარმომადგენელი მიესალმება საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის კომუნიკეს

ლონდონი, 7 ოქტომბერი (საკდესი). 28 სექტემბრის საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის კომუნიკეს გამოქვეყნებასთან დაკავშირებით, მებრძოლი საფრანგეთის წარმომადგენელმა რადიოთი წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიც გამოსთქვა ფრანგი პატრიოტების ღრმა კმაყოფილება ამ კომუნიკეს გამო და განაცხადა, რომ „სწორედ იმ ჟამს, როდესაც მთელი საფრანგეთი მიესალმება სტალინგრადის სასწაულს, გმირული რუსეთის მთავრობა აცხადებს თავის გადაწყვეტილებას — გახადოს ძლიერი და სუვერენული საფრანგეთი მოკავშირე ერების საერთო გამარჯვების მონაწილედ“.

„28 სექტემბრის დიპლომატიური აქტი, — განაგრძო მებრძოლი საფრანგეთის წარმომადგენელმა,—წარმოადგენს საფრანგეთის პატრიოტული ძალების მჭიდროდ დარაზმვის დადასტურებას, და ქვეყნად არავინ არის ისეთი, ვინც არ იცოდეს, რომ ეს დარაზმვა სწარმოებს. არავინ არის აგრეთვე ისეთი, ვინც არ იცოდეს, ვის გარშემო ხდება გაერთიანება. თავის მორალურ გამარჯვებას, ურომლისოდაც დიდი ანგარიშსწორების დღეს საფრანგეთის მიერ გაღებული ყველა მსხვერპლი ამაო იქნებოდა, საფრანგეთი უნდა უმადლოდეს უწინარეს ყოვლისა იმათ, ვინც ნებაყოფლობით ირჩია ბრძოლა ან სიკვდილი და ვისი მეოხებითაც საფრანგეთის იარაღი ერთი დღითაც კი არ გასულა ბრძოლიდან. ყველა ფრანგი აღიარებს იმ სამარადისო ჭეშმარიტებას, რომ რუსეთი, რომელიც ხვალინდელ გამარჯვებულთა პირველ რიგებში იმყოფება, ევროპასა და მსოფლიოს მოუტანს წონასწორობის გარანტიას, რისი საჭიროებაც ისტორიის ყოველ მოსახვევზე გამოჩნდება ხოლმე. მეორე მხრივ, რუსეთი სცნობს, რომ განთავისუფლებული საფრანგეთი ერთადერთი ბატონ-პატრონი იქნება თავისი ბედისა“.

მებრძოლი საფრანგეთის წარმომადგენლის ეს სიტყვა გადაეცა რადიოთი საფრანგეთს.

პარტიზანებმა დაიბრუნეს დასახლებული პუნქტი

მოქმედი არმია, 8 ოქტომბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ფაშისტთა „სს“ ასეული ერთი თვის განმავლობაში თარეშობდა ჩრდილოეთ კავკასიის მთის ძირას მდებარე ერთ სოფელში. ჰიტლერელები კოლმეურნეებს სძარცვავდნენ, გალეშილ ბრბოებად უვარდებოდნენ ოჯახებში მშვიდობიან ხალხს, ურცხვად მიჰქონდათ ყველაფერი, რასაც კი მოიხელთებდნენ. ფაშისტმა მოძალადეებმა აქ საროსკიპო მოაწყეს და სიკვდილით დასჯის მუქარით შიგ შეჰყარეს ქალები და ქალიშვილები.

ერთი სოფლის მიდამოებში აქტიურად მოქმედებს პარტიზანთა რამდენიმე რაზმი. პარტიზანთა შორის არიან რუსები და ადიღეველები, ყაბარდოელები და ოსები. პარტიზანთა ჯგუფმა კონსტანტინეს ხელმძღვანელობით მიაგნო მთებში მიმავალ გერმანელთა სატვირთო მანქანების კოლონას კვალს. პარტიზანები ჩასაფრდნენ და საშუალება მისცეს ფაშისტებს წინ წაწეულიყვნენ ხეობის აყოლებით. როცა გზაზე გავიდნენ, უკანასკნელი და პირველი ავტომანქანის უკან გრუხუნით წაიქცა პარტიზანების მიერ წინდაწინ გადაჭრილი საუკუნოვანი მუხები. კოლონას გრანატები დაუშინეს. არც ერთი გერმანელი ცოცხალი არ გადარჩენილა. რვავე სატვირთო მანქანა დაიწვა საომარ მასალიანად.

ამ წარმატებით გამხნევებულმა პარტიზანებმა გადასწყვიტეს ყველა რაზმის გაერთიანებული ბრძოლით გაერეკნათ „სს“-ელები სოფლიდან. ჯარის ნაწილიდან, რომელიც უღელტეხილს იცავს, სახალხო შურისმგებლებს ნაღმსატყორცნელები მიეშველნენ. მაგრამ მათ მხოლოდ რამდენიმე ნაღმი ისროლეს, დანარჩენი საქმე პარტიზანთა მეტყვიამფრქვევეებმა და მეავტომატეებმა დაამთავრეს. ფაშისტებმა, რომლებიც პარტიზანთა თავდასხმას არ მოელოდნენ, სწრაფად გასწმინდეს სოფელი და უკან დაიხიეს 12 კილომეტრით.

მაიკოპელი პარტიზანები

მოქმედი არმია, 7 ოქტომბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). მაიკოპის რაიონი რომ დაიკავეს, გერმანელები მაშინვე მივარდნენ ნავთის სარეწებს. მაგრამ ჰიტლერელთა იმედი მაიკოპის ნავთის მიღებისა არ გამართლდა. სარეწების ადგილას მათ მხოლოდ ნანგრევები დახვდათ. ჭაბურღილები ამოვსებული იყო, ნავთსადენი მოშლილი. ამით დაიწყეს თავიანთი მოქმედება მაიკოპელმა პარტიზანებმა. მათ ნავთი არ მისცეს მტერს.

ფაშისტებმა სცადეს შეეკრიბნათ სარეწების მუშები და სპეციალისტები. მაგრამ ისინი ქალაქში არ აღმოჩნდნენ. მაშინ გერმანელებმა დაიწყეს მშვიდობიანი მოსახლეობის დაპატიმრება. გესტაპოელებმა ჩამოახრჩეს რამდენიმე საბჭოთა მოქალაქე, მათ შორის ორი ექიმი.

ჰიტლერელებმა ჩქარა გაძარცვეს მთელი მაღაზიები, საწყობები და შემდეგ დაიარეს ბინები, საიდანაც მიჰქონდათ ყველაფერი, რაც კი მოეწონებოდათ.

მაიკოპი მკვდარი ქალაქი გახდა. ხალხი ცდილობდა არ დანახვებოდა ფაშისტ ავაზაკებს. ცხოვრება ტყეებსა და მთებში გადავიდა, სადაც რამდენიმე პარტიზანული რაზმი მოქმედებს. ფაშისტები ამაოდ ეძებდნენ მაიკოპელ ნავთის მუშაკებს. ისინი ტყეებში არიან.

პარტიზანულმა რაზმმა მოკლე ხანში ტყის გზებზე 100-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი დახოცა, მონაწილეობა მიიღო წითელი არმიის რეგულარული ნაწილების რამდენიმე ოპერაციაში.

განსაკუთრებით გაითქვა სახელი ამ რაზმის პარტიზანმა, ყოფილმა მეზღვაურმა კონსტანტინემ. მთის გზაზე, მაღალ ჩეჩებს შორის, რამდენიმე პარტიზანი ჩასაფრდა. მალე გამოჩნდა ცხენით მომავალი გერმანელი ჯარისკაცი. როდესაც იგი მოახლოვდა, კონსტანტინე მყისვე გამოხტა ბუჩქებიდან და მიბრჯენ სროლით მოჰკლა მხედარი. მაგრამ, როგორც კი პარტიზანი მოკლულს დასწვდა დოკუმენტებიანი ჩანთის ასაღებად, მოსახვევში გერმანელთა ავტომანქანა გამოჩნდა. მოსული გერმანელები პარტიზანის შეხვედრას არ მოელოდნენ.

— რა მოხდა?—იკითხა ერთმა მათგანმა გერმანულად.

პარტიზანის მაგიერ პასუხი მისმა ავტომატმა გასცა. გრძელმა ჯერმა დასცხრილა ყველანი, ვინც მანქანაში იყო. მოკლულ იქნენ ოფიცრები, მათ შორის პოდპოლკოვნიკი. პარტიზანებმა ხელთ იგდეს შტაბის ძვირფასი დოკუმენტები.

ნავთის რაიონის ერთ-ერთ სოფელში გერმანელთა გარნიზონზე გაბედული თავდასხმა მოაწყეს სხვა რაზმის პარტიზანებმა. ჰიტლერელებმა გადასწყვიტეს აქ ქეიფი გაემართნათ. ღამით, მაგრად რომ გაილეშნენ, ოფიცრებმა მოითხოვეს სოფლის ქალიშვილები მოერეკათ იმ სკოლაში, სადაც ქეიფი იყო. ჯარისკაცები უკვე წავიდნენ ქალიშვილების მოსარეკად, მაგრამ ამ დროს სკოლის ფანჯრებს პარტიზანთა გრანატები მოხვდა. მყისვე ატკაცდა საბჭოთა ავტომატები, ატყდა შაშხანის სროლა, პარტიზანებმა რამდენიმე ათეული ჰიტლერელი გაჟლიტეს და უდანაკლისოდ გაბრუნდნენ ტყისაკენ.

გერმანელები ვერ იპოვნიან მაიკოპელ ნავთის მუშაკებს სარეწების აღსადგენად, სამაგიეროდ ნავთის მუშაკი პარტიზანები ყოველდღე ნახულობენ ოკუპანტებს და დაუნდობლად ჟლეტენ მათ.

ი. ლაპონოგოვი

გეგმების შესრულება

ზესტაფონის რაიონის კოლმეურნეობებმა მსხვილფეხა რქიანი საქონლის სულადობის განვითარების სახელმწიფო გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს. ნაცვლად 8.600 სულისა, რაიონის კოლმეურნეობებს უკვე ჰყავთ 8.606 სული მსხვილფეხა რქიანი საქონელი. სილოსის ჩადების გეგმა რაიონში შესრულებულია 102,7 პროცენტით,—ნაცვლად 20.400 ცენტნერისა დასილოსებულია 20.950 ცენტნერი.

საქ. კ. პ. (ბ) ზესტაფონის რაიკომის მდივანი **წვერავა**
რაი საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ბერაძე**

* * *

კიროვის სახელობის ლაითურის (მახარაძის რაიონი) საბჭოთა მეურნეობამ 16 ოქტომბრისათვის შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. მოიკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარდა 2.133.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.130.000 კილოგრამისა.

ჩაის კრეფა გრძელდება.

ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი **ერ. გობრონიძე**

საქართველოს მამაცი შვილები სამამულო ომის ფრონტებზე

მოქმედი არმია. მოზდოკის რაიონი. ნაღმ მტყორცნელები ვ. რუსიშვილი (მარჯვნივ) და ა. მელაძე ნაღმებს უშენენ მტერს. ფოტო ს. სემინისა.

სიმონ ჩიქოვანი

გმირთა საფლავი

სამამულო ომში გმირულად დაღუპულ მეომრების შუბითიძის და გუხაიძის ხსოვნას

ყაბარდოს ველზე თვალივით წყვილი,
ორი მეომრის საფლავი არი.
მათ აფენიათ მყინვარის ჩრდილი,
და დარიალით მოუხმობს ქარი.

ორი მარჯვენა ორივე მკვეთრი,
ორი შუბია მინდორზე რგული.
საქართველოდან ჩაუვლის თერგი,
წამოაყენოს, მორეცხოს წყლული.

საფლავს ატყვია მზრუნველი ხელი,
როგორც ალერსი ჭაღარა დედის.

ომში გუგუნებს ყაბარდოს ველი,
და ხორკლიანი ქართული ქედი.

როს შენივთდება შეტევის ჟინი,
წამოდგებიან ქართველნი მიწით.
ისმენენ ომში მამაცთა ყიჟინს:
შური იძიეთ, აღსრულდეს ფიცი.—

წინ მიიწევენ ყირმიზი დროშით,
მკერდით დაიცვან ქართლის ქედები.
და ამხნევებენ ვაჟკაცებს ომში
თმაშევერცხლილი მთები-დედები.

მათ არასოდეს არ დაივიწყებენ კავკასიის მთებში

(მოსკოვი, „კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან)

გაზეთ „კრასნაია ზვეზდას" 6 ოქტომბრის ნომერში კორესპონდენტი ჩრდილოეთ-კავკასიიდან ხირენი მოგვითხრობს კავკასიის სამი დამცველის — პოლიტხელ ზინოვიევის, სერჟანტ გაზოვისა და წითელარმიელ ცხოდაძის გმირობისა და საბრძოლო პოსტზე მათი სახელოვანი სიკვდილის შესახებ. ერთ მუჭა მებრძოლებთან ერთად მათ ბრძოლა გაუმართეს ფაშისტთა მთელ ასეულს, რომელიც ხევში იყო ჩასაფრებული. გერმანელებმა მოითხოვეს, რომ ჩვენი მებრძოლები ტყვედ დანებებულიყვნენ. ამ თავხედური მოთხოვნის პასუხად ზინოვიევი, გაზოვი და ცხოდაძე, რომლებიც ერთმანეთის გვერდით აღმოჩნდნენ, ქვებში ჩაწვნენ და სროლა აუტეხეს მოახლოებულ ფაშისტებს.

„მათ გასწყვიტეს 8 ოფიცერი და 23 ჯარისკაცი, — იუწყება კორესპონდენტი, — მაგრამ ფაშისტთა პირველ ჯგუფის შემდეგ მეორე გამოჩნდა. ზინოვიევი იერიშისათვის გაუძღვა თავის მებრძოლებს. მას მიჰყვნენ ყველანი. ამ ბრძოლაში მამაცთა სიკვდილით დაიღუპნენ პოლიტხელი ზინოვიევი, სერჟანტი გაზოვი და წითელარმიელი ცხოდაძე. მაგრამ ამასობაში მთელმა ასეულმა მოუსწრო და მტერი უკუქცეულ იქნა.

ჩვენი მებრძოლები იმავე დღეს შევიდნენ გერმანელ დამპყრობთაგან განთავისუფლებულ მთის სტანიცაში. სამმა გმირმა ველარ დაინახა სტანიცა, რომლისთვისაც ისინი ესოდენ მამაცურად იბრძოდნენ. მთებიდან დაბლობში ნელა ჩამოდიოდა სამი საზიდარი, თითოეულზე კუბო ესვენა. საზიდრებს მოჰყვებოდნენ მებრძოლები. მათ გვირგვინებით, ყვავილების თაიგულებით შეეგება ხალხი. აქ იყვნენ მოხუცი ქალები და კაცები, ახალგაზრდა ქალები, ბავშვები. როდესაც საზიდრები ახლად გათხრილ სამარესთან დადგნენ, მთელი მოსახლეობა შეიკრიბა. სტანიცის კოლმეურნენი ეთხოვებოდნენ მეომრებს, რომლებმაც თავი დასდეს მათი განთავისუფლებისათვის.

უფროსმა პოლიტხელმა ბაგრამოვმა გახსნა მიტინგი. მან სთქვა, რომ სამი გმირი დაიღუპა კავკასიონის მთავარი ქედის, კავკასიის გულის — ჩვენი ნავთის სარეწების მისადგომთა დაცვისას. ისინი იბრძოდნენ მამაცურად, თავისი ძალ-ღონის დაუზოგავად, მტრის დაუნდობლად. სამმა გმირმა მოსპო 31 ფაშისტი. ამ თავგანწირული მეომრების სახე სამუდამოდ დარჩება მებრძოლთა, მეთაურთა გულში, მთების განთავისუფლებულ მცხოვრებთა გულში.

ბაგრამოვმა ხმამაღლა წარმოსთქვა წმიდა ფიცი—„ვიბრძოლოთ ისე, როგორც იბრძოდა სამი გმირი".

გაისმა სამგზის გასროლა და კუბოებზე დროშები დაიხარა. აი გმირთა ნეშტი უკვე ჩაუშვეს სამარეში და პირველი მუჭა მიწა მიაყარეს. მთებში, ჩანჩქერის ახლოს აღიმართა საფლავის ბორცვი. მას მუხის მესერი შემოარტყეს. ქალებმა საფლავი ყვავილებითა და გვირგვინებით შეამკეს. აქ დაიდგა სვეტი ვარსკვლავით. ზედ პატარა დაფაა წარწერით: „აქ განისვენებს სოციალისტური სამშობლოსათვის დაღუპული სამი გმირი — პოლიტხელი ზინოვიევი, სერჟანტი გაზოვი და წითელარმიელი ცხოდაძე".

სამმა გმირმა უკვდავება ჰპოვა. მათ არასოდეს არ დაივიწყებენ კავკასიის მთებში".

ვ. ყარა-მურზა

სნაიპერმა ჭანიამ 26 გერმანელი გასწყვიტა

(მოსკოვი, „კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან)

გაზეთი „ტრუდი" 2 ოქტომბერს პოლიტხელ შესტაკის კორესპონდენციაში დასავლეთის ფრონტიდან მოგვითხრობს საბჭოთა სნაიპერების სახელოვან საქმეებზე, კერძოდ, სერჟანტ ჭანიაზე, რომელმაც თავი ისახელა, როგორც მარჯვე გამანადგურებელმა.

„იგი სერჟანტ კაიუპოვთან ერთად ნადირობდა გერმანელებზე. სნაიპერთა სროლის ძალა რომ იგრძნეს, გერმანელებმა ფანდებს მიმართეს. ერთხელ სნაიპერებმა გერმანელთა სანგარში დაინახეს მაზარაში გამოწყობილი ჯარისკაცი, რომელსაც მუზარადი ეხურა. კაიუპოვი სროლას აპირებდა, მაგრამ სერჟანტ ჭანიას ჯარისკაცი საეჭვოდ ეჩვენა — იგი მეტისმეტად უმოძრაოდ იდგა. სნაიპერები დიდხანს აკვირდებოდნენ და ბოლოს მიხვდნენ, რომ მათ წინ ჯარისკაცის ხის ფიგურა იყო. ისინი გერმანელთა ანკესს არ წამოეგნენ და თავი არ გამოამჟღავნეს. გერმანელები დარწმუნდნენ, სნაიპერები აქ აღარ არიანო, და გულდამშვიდებით გამოვიდნენ საფრიდან. სწორედ მაშინ მოუსწრო მათ სნაიპერთა ტყვიებმა.

„ყოველი ჩემი გასროლა — ეს არის დახმარება სამხრეთის დამცველებისადმი, — ამბობს ჭანია,—მე აქაც ჩემი მიწა-წყლისათვის ვიბრძვი".

ეს მცირე დახმარება როდია. ათი დღის განმავლობაში ჭანიამ 26 გერმანელი გასწყვიტა.

ვ. ყარა-მურზა

ქართველ მებრძოლთა სიმამაცე

ერთი დასახლებული პუნქტის რაიონში ჰიტლერელებმა რამდენჯერმე მოიტანეს იერიში ერთ ჩვენს ქვეგანაყოფზე, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწიეს. ყოველი ასეთი ცდა გერმანელებს რამდენიმე ათეულ მოკლულ ჯარისკაცად უჯდებოდათ. მაშინ ფრიცებმა ხერხს მიმართეს. დაზგის ტყვიამფრქვევი ცხენს კუდზე მიაბეს და ისე გაუყენეს იგი ოცეულის საცეცხლე წერტებისაკენ მიმავალ ბილიკზე. ცხენს უკან ხოხვით მიჰყვებოდნენ მტრის მეტყვიამფრქვევეები.

მტერს მზაკვრულ ხერხს მიუხვდა უმცროსი სერჟანტი ჩადვიშვილი. ავტომატის მარჯვე ჯერით მან მოკლა ცხენი, ხოლო როდესაც ჰიტლერელები ტყვიამფრქვევს ეცნენ გადასარჩენად, ჩადვიშვილმა ათი გერმანელი დახოცა.

იმავე დღეს წყლის ზღუდესთან სახელი გაითქვა ასეულის პოლიტხელმა ამხ. ქორქიამ. მან დასძლია მდინარის სწრაფი დენა და მტრის მიერ დაკავებულ ნაპირზე გავიდა. ქორქია შეუმჩნევლად მიეპარა მტრის დაზგის ტყვიამფრქვევს და მთელი მისი გუნდი გაჟლიტა.

გერმანელთა ტყვიამფრქვევით ქორქიამ მოსპო მტრის ოცდაათზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, შემდეგ კი ნადავლი იარაღიანად და დოკუმენტებიანად უკანვე გადმოვიდა თავისიანებთან.

ფრონტის სხვა უბანზე ჰიტლერელები შეეცადნენ ხელთ ეგდოთ უმცროს პოლიტხელ მამარდაშვილის ბატარეა. არტილერისტები დამშვიდებულნი შეხვდნენ მტერს, შემდეგ კი აამოქმედეს მთელი თავისი იარაღი. თვითონ მამარდაშვილმა ტყვიით მოჰკლა ორი ფაშისტი ოფიცერი, ხოლო შემდეგ თავისი ზარბაზნის ცეცხლით გაანადგურა მტრის ორი ტყვიამფრქვევი მათი გუნდიანად.

...გაჩაღებული ბრძოლა იყო. ჩვენი მებრძოლები თანდათანობით წინ მიიწევდნენ. რუმინელები ებღაუჭებოდნენ ბორცვებს, იმალებოდნენ ხევებში, ჩვენს მებრძოლებს წინააღმდეგობას უწევდნენ. მარცხენა ფლანგზე, სიმინდებში, ჩამჯდარიყო მეავტომატეთა ჯგუფი. იგი უწესრიგოდ ისროდა და ხელს უშლიდა საბჭოთა მეომრების შემდგომ წინსვლას.

გაბედულმა წითელარმიელმა ვაშაკიძემ ზურგიდან მოუარა რუმინელებს და გრანატები დააყარა. მტრის თოთხმეტი მეავტომატე მოსპობილ იქნა. წითელარმიელები წამოიშალნენ და ეკვეთნენ მტერს. ახლა რუმინელები სწრაფად მირბოდნენ უკან და გზადაგზა სტოვებდნენ იარაღსა და საომარ მასალას.

ი. დუბინსკი

მოქმედი არმია.

მზვერავ ბურჯანაძის გაბედული თავდასხმა

წითელარმიული გაზეთი „ვპერიოდ" მზვერავ ბურჯანაძის გაბედული თავდასხმის შესახებ მოგვითხრობს:

„ერთ-ერთი სადაზვერვო ძიების დროს, წითელარმიელმა ბურჯანაძემ შეამჩნია ცალკე სახლი, რომელშიც თავი შეაფარეს ფაშისტებმა. გამბედავმა მზვერავმა მაშინვე გადასწყვიტა შეუმჩნევლად გადაფორთხებულიყო მტრის ბუნაგთან და მოესპო ოკუპანტები. სახლთან მიახლოებისას ბურჯანაძემ უკვე დაინახა, რომ მის წინ იტალიელები იყვნენ. ისინი არავითარ საფრთხეს არ მოელოდნენ. მშვიდად ისხდნენ სახლში და ბაასობდნენ. გაბედული და მარჯვე მოქმედებით, ბურჯანაძემ 13 ფაშისტი მოკლა. ბურჯანაძის მოულოდნელი თავდასხმით დარეტიანებული დანარჩენი შვიდი იტალიელი წინააღმდეგობის გაუწევლად დანებდა ტყვედ. ბურჯანაძემ ტყვეები თავისი ნაწილის შტაბში მიიყვანა".

გამბედაობისა და სიმამაცის მაგალითები

№ წითელარმიულ გაზეთში უფროსი სერჟანტი კიკალიშვილი მოგვითხრობს ბრძოლის ერთ-ერთ ეპიზოდს, რომელშიც თავი ისახელეს მებრძოლებმა ფაილოძემ, ჯიშკარიანმა და სხვ.

„მტრის მარჯვენა ფრთაზე ბრძოლა თანდათან მწვავე ხასიათს ღებულობდა. განსაკუთრებით გვიშლიდა ხელს მტრის მეავტომატეთა ჯგუფი, რომელმაც უეცრივ მარცხნიდან გააჩაღა ავტომატური ცეცხლი. მაშინ თავი იჩინა მებრძოლ ერმილე ფაილოძის გამბედაობამ. იგი წინ გაიჭრა, მოხერხებულად მიუახლოვდა მტრის მეავტომატეებს და 40 მეტრის მანძილიდან სტყორცნა ყუმბარა. სიცოცხლე მოუსწრაფა ორ ფრიცს, ხოლო დანარჩენები გაიფანტნენ. ოცეულმა წინ წაიწია და საბრძოლო ამოცანა წარმატებით შეასრულა. გამბედაობის ნიმუშს უჩვენებდა ბრძოლაში მებრძოლი ჯიშკარიანიც. მან სასწრაფო დახმარება აღმოუჩინა მძიმედ დაჭრილ ლეიტენანტ თვალაძეს. მტრის ცეცხლის ქვეშ მან დაჭრილი მეთაური ზურგში გაიყვანა, სწრაფად დაბრუნდა და ისევ ბრძოლაში ჩაება. აუცდენლად ურტყამდა იგი ფაშისტებს.

გამარჯვების რწმენით გამხნევებული მებრძოლები ეკვეთნენ მტერს და მეზობელ ქვეგანაყოფთან ერთად გაათავისუფლეს სოფელი გერმანელი ბარბაროსებისაგან. ბრძოლის მთელ პერიოდში გაბედულად მოქმედებდნენ მებრძოლები ხირაძე, ხეფიაშვილი, ნატროშვილი, ლეჟავა, ჩიხლაძე და ზუხუბაია".

გვარდიის კაპიტანი, ორდენოსანი დ. ბერიაშვილი

ნიკოლოზ ბერიაშვილმა აგვისტოს უკანასკნელ რიცხვებში მიიღო სასიხარულო წერილი, რომელსაც ხელს აწერენ გვარდიის მეზღვაურთა სანაღმტყორცნო დივიზიონის მეთაური და სამხედრო კომისარი.

„ძვირფასო ნიკოლოზ თარიმანის-ძევ, — სწერდნენ ისინი,—გვარდიის მეზღვაურთა სანაღმტყორცნო დივიზიონის სარდლობა გაცნობებთ, რომ თქვენი შვილი, გვარდიის კაპიტანი დავით ნიკოლოზის-ძე ბერიაშვილი № ფრონტის ჯარებისადმი 1942 წლის 20 აგვისტოს ბრძანებით გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოებულია წითელი დროშის ორდენით.

გილოცავთ თქვენ და თქვენს ოჯახს თქვენი შვილის მთავრობის უმაღლესი ჯილდოთი დაჯილდოებას და გისურვებთ წარმატებას თქვენს მუშაობაში ფრონტის დასახმარებლად".

გვარდიის კაპიტანი, ორდენოსანი დავით ნიკოლოზის-ძე ბერიაშვილი 21 წლის ჭაბუკია. იგი დაიბადა 1921 წელს ქ. თბილისში, ტრამვაელი მუშის ოჯახში. იგი ჯერ 16 წლისაც არ იყო, როდესაც საშუალო სასწავლებელი დაამთავრა. 1937 წელს შევიდა სამხედრო-საზღვაო სასწავლებელში, რომელიც დაამთავრა 1941 წლის მაისში და ომის დაწყებისთანავე ფრონტზე გაემგზავრა. მისი სამხედრო წარსული განისაზღვრება სამამულო ომის პერიოდით. მაგრამ ამ ხნის განმავლობაში მან ისეთი გულადობა, სიმამაცე და საბრძოლო უნარი გამოიჩინა, რომ სწრაფად დაწინაურდა და კაპიტანი გახდა.

№ წითელარმიული გაზეთი ჯერ კიდევ 1941 წლის დეკემბერში სწერდა:

„ლეიტენანტი ბერიაშვილი დასავლეთის ფრონტზე ერთ-ერთი საარტილერიო ქვეგანაყოფის ოცეულს მეთაურობდა. ქვემეხების მარჯვე ცეცხლით ოცეულმა გაანადგურა მტრის ნაღმსატყორცნი ბატარიები, წარმატებით დაჰფარა დიდი შენაერთის გადასვლა ახალ ზღუდეებზე. ამხ. ბერიაშვილმა მხოლოდ მაისში დაამთავრა სამხედრო სასწავლებელი, მაგრამ უკვე დაიმსახურა უფროსი ლეიტენანტის წოდება".

ახალგაზრდა მეთაურმა თავისი უნარით, თავისი უშიშრობით, ბრძოლის წესების ცოდნით და გამჭრიახობით მალე დაიმსახურა სიყვარული და პატივისცემა თავის ხელქვეითებში. ერთ-ერთ წერილში თავის ძმას სოსოს დავითი სწერს:

„...ნათქვამია — ცოტა უცხოვრია და ბევრი განუცდიაო. ჩემი საქმეც ასეა. ერთი თვის განმავლობაში სულ ბრძოლაში ვიყავი. ჩემი მეზღვაურები ჩემთან ერთად ლომებივით იბრძოდნენ. ახლა სამ დღეს ვისვენებთ და ისევ ბრძოლაში წავალთ. სოსო, რომ იცოდე, რა ბიჭები მყავს, უკეთესი არ იქნება. ზოგიერთი ჩემზე 10-12 წლით უფროსია, მაგრამ ისე მიჯერიან, როგორც ძველ გამოცდილ მეთაურს. ამას წინათ მე და ჩემს 20 მეზღვაურს ბრძოლა მოგვიხდა მტრის 8 ტანკთან. 4 ტანკი გავანადგურეთ, დანარჩენები გაიქცნენ. ამ ბრძოლაში მე ვაზნები გამომელია და ამის გამო საფრთხე მომელოდა. ამ დროს ერთმა მეზღვაურმა ვაზნებით სავსე ქისა მომაწოდა. მე ძლიერ მიამა, რომ ჩვენი მებრძოლები ასე ზრუნავენ თავიანთი მეთაურისათვის.

... გვარდიელი მეზღვაურები მუდამ სტალინურად იბრძოდნენ და კვლავაც იბრძოლებენ ფაშისტთა ურდოების სრულ განადგურებამდე".

ახალგაზრდა ორდენოსანი კაპიტანი დ. ბერიაშვილი მთელი თავისი მგზნებარე ახალგაზრდული ენერგიით იბრძვის ჯალათ ფაშისტთა გასანადგურებლად.

ნ. ივანიძე

ბატალიონის კომისარი შ. გეთია

შოთა დიმიტრის-ძე გეთია დაიბადა ჯიხაშ-კარში (ზუგდიდის რ.) 1904 წელს. მამამისი დიმიტრი სოფლის მასწავლებელი იყო, 1905 წლის რევოლუციის აქტიური მონაწილე. მეფის მთავრობის დამსჯელი ექსპედიციის მიერ შეპყრობილი, იგი წამებით იქნა მოკლული. ამხ. შოთა დაობლდა. დედა მას გაჭირვებით ზრდიდა. 1919 წელს ამხ. შ. გეთიამ სოფლის ორკლასიანი სკოლა დაამთავრა და სოფლად მუშაობდა მეურნეობაში. 1925 წელს აღმასკომის მდივნად მუშაობდა ჯიხაშკარში. 1926 წლიდან დაწყებული მუშაობდა ჯერ ტყიბულის მაღაროებში, შემდეგ ზუგდიდში პროკურატურის მდივნად. 1928 წლიდან სწავლობდა ამიერ-კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში. 1932 წელს, დაამთავრა რა უნივერსიტეტი, მუშაობდა ჯერ ფოთში რესპუბლიკური პარტსკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ, შემდეგ წლებში კი სხვადასხვა დროს განათლების განყოფილების გამგედ, საქ. კ. პ. (ბ) ქალაქკომის აგიტპროპგანყოფილების გამგედ, ქალაქკომის მდივნად კადრების დარგში და ბოლოს მეორე მდივნად. საქ. კ. პ. (ბ) წევრია 1938 წლიდან.

საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში ამხ. შ. გეთია მონაწილეობს 1941 წლის ოქტომბრიდან ჯერ უფროს პოლიტხელის წოდებით და ბოლოს ბატალიონის კომისრის წოდებით სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე.

ამხ. შ. გეთია სარდლობის ყოველ დავალებას პირნათლად ასრულებდა და ხშირად მიუღია მადლობა და ჯილდო. ამხ. შ. გეთიას მეთაურობით საბჭოთა მებრძოლებს არაერთხელ გაუმართავთ ჰიტლერელებისათვის თავგანწირული ბრძოლა. თავისი მოსაზრებული და გაბედული მანევრებით ამხ. შ. გეთიას არაერთხელ უზრუნველუყვია ჩვენი ჯარის ნაწილებისათვის ახალი ზღუდეების დაკავება, მოუგერიებია მტრის გააფთრებული იერიშები და საგრძნობი ზარალი მიუყენებია კაციჭამია ფაშისტებისათვის.

ერთ-ერთ ბრძოლაში ამხ. შ. გეთია დაიჭრა, მაგრამ ბრძოლის ველიდან არ გასულა, ბოლომდე დარჩა თავის მებრძოლებთან და პირადი მაგალითით ამხნევებდა მათ მტერზე შეუპოვარი ბრძოლისათვის.

ამხ. შ. გეთია განკურნების შემდეგ კვლავ დაუბრუნდა ფრონტს.

შ. გვინჩიძე

ორდენოსანი წითელარმიელი ა. აბაიშვილი

ამხ. აკაკი კვირიას-ძე აბაიშვილი დაიბადა ამბროლაურის რაიონის სოფ. კვაცხუთში 1917 წელს. ათი წლისა იყო აკაკი, როდესაც მამა გარდაეცვალა და მრავალრიცხოვანი ოჯახის მოვლა დააწვა დედას.

არასრული საშუალო სკოლა ამხ. ა. აბაიშვილმა დაამთავრა 1933 წელს, ხოლო შემდეგ საშუალო სასწავლებელი ამბროლაურში და პედაგოგიური კურსები თბილისში. კურსების დამთავრების შემდეგ ამხ. ა. აბაიშვილი ცოტახანს მასწავლებლობდა დუშეთის დაწყებით სკოლაში. აქედან დაბრუნდა თბილისს და შევიდა რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი თეატრის სტუდიაში. სწავლობდა ბეჯითად და ერთ-ერთ ნიჭიერ ახალგაზრდა მსახიობად ითვლებოდა.

1940 წელს ამხ. ა. აბაიშვილი წითელ არმიაში გაიწვიეს. საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის დაწყების პირველ დღიდანვე იგი თავგანწირვით იბრძვის ჰიტლერელი ავაზაკების წინააღმდეგ. ერთ-ერთ სასტიკ ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა ფეხში და მკურნალობდა ღრმა ზურგში.

გამოჯანმრთელდა თუ არა, ამხ. ა. აბაიშვილმა კვლავ ფრონტს მიაშურა. ამ ხანებში იგი სწერს დედას: „მე უკვე კარგად ვარ, ფეხი მომირჩა, თავისუფლად სიარულიც შემიძლია და ბრძოლაც. მივდივარ კვლავ ფრონტზე. ჰიტლერელ ავაზაკებს კვლავ ვაწყევლინებ დაბადების დღეს. ოცდახუთი ავაზაკი უკვე ჩავაძაღლე, ერთი იმდენს კიდევ მოვსპობ პირველ მისვლისთანავე და მერე ვნახოთ. სანამ მკლავში ძალა მექნება, სანამ თუნდაც ერთი წვეთი სისხლი კიდევ იქნება ჩემს სხეულში, სანამ სუნთქვა შემეძლება და თვალთ არ დამიბნელდება, არ მოვასვენებ ჰიტლერელ ავაზაკებს, ჩვენი ქვეყნის ამ შემბილწველებს. იყავი კარგად, ჩემო დედი, მომიკითხე ნათესავები, ნაცნობები, მეგობარ-ამხანაგები. გქონდეს ჩემი იმედი, სამშობლოსათვის, სტალინისათვის, შენთვის, ჩემო კარგო დედა, ვიბრძოლებ ვერაგი მტრის წინააღმდეგ".

თავის დაპირება ღირსეულად შეასრულა ამხ. ა. აბაიშვილმა და მთავრობამაც ღირსეულად დააჯილდოვა იგი.

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გმირობისა და მამაცობის გამოჩენისათვის წითელარმიელი აკაკი კვირიას-ძე აბაიშვილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულია ლენინის ორდენით.

მ. სურგულაძე

მოქმედი არმია. (ჩრდილოეთ კავკასია). წითელი არმიის სატანკო დესანტი აწარმოებს ბრძოლას დასახლებული პუნქტისათვის. (საკდესის ფოტოქრონიკა).

სანიტარული ინსტრუქტორი შარვაძე

№ წითელარმიულ გაზეთში უმცროსი ლეიტენანტი ა. ცხადაძე სანინსტრუქტორ შარვაძის შესახებ მოგვითხრობს:

„საერთო მოწონება დაიმსახურა სანიტარულმა ინსტრუქტორმა ამხ. შარვაძემ ბრძოლის ველზე გამბედაობისა და სიმამაცის გამოჩენისათვის. მან 8 დაჭრილი ამხანაგი გამოიყვანა ბრძოლის ველიდან [illegible] იარაღიანად. შარვაძეს დაჭრილ[illegible] გამოყვანა მტრის ძლიერი ცეცხლქვეშ უხდებოდა, მაგრამ ერთ წუთსაც არ შეჩერებულა. იგი ხედავდა დაჭრილ ამხანაგს, რომელიც შველას ითხოვდა. ტყიდან მისასვლელებით მიფორთხდა იგი დაჭრილ ლეიტენანტ კუპრაშვილთან, რომელიც მტრის გარემოცვაში იყო მოქცეული, ადგილზევე შეუხვია ჭრილობა და შემდეგ ზურგით გამოიყვანა იგი სახიფათო ადგილიდან".

ათი სამოცდაათის წინააღმდეგ

№ წითელარმიულ გაზეთში უფროსი წითელფლოტელი ბონდარევი მტრის განლაგებაში შეჭრილ ათი საბჭოთა მებრძოლის გმირობაზე მოგვითხრობს:

„ასეულის მეთაური ლეიტენანტი ხემინიხინი იდგა თავის მებრძოლებს შორის და უხსნიდა მათ ახალ საბრძოლო ამოცანას. საჭირო იყო მოწინააღმდეგის ზურგში ჩასაფრება და იმის გაგება, თუ რა სამზადისი ჰქონდა მას. გამოყოფილ იქნა ყოჩაღი მებრძოლების ჯგუფი, რომელსაც მეთაურებად დაუნიშნეს უმცროსი ლეიტენანტი ხუდარკინი და ოცეულის მეთაურის თანაშემწე გეგეჭკორი.

რაზმში მოხვედრის გამო თავს ბედნიერად ვგრძნობდი. წყნარად მივდიოდით და გულდასმით ვათვალიერებდით ყოველ საგანს. მალე ტყის პირას გავედით. იქ იდგა ფარდული, სადაც ჩავსაფრდით, დავიკავეთ ირგვლივი თავდაცვა, გავანაწილეთ სათვალთვალო უბნები. მეთაურის თანაშემწე გეგეჭკორი გადადიოდა ერთი მებრძოლიდან მეორესთან, ამოწმებდა მათ მზადყოფნას, არკვევდა პირველი თვალთვალის შედეგებს.

მალე მზვერავებს კოხრეიძეს და მიჩხიას მოესმათ ფაჩუნი და ხმელი ტოტების მსხვრევა. მებრძოლები მიწას გაეკრნენ.

— კოხრეიძე, მიცოცდი ხეებთან და შეატყობინე ჩვენებს ყველაფერი. სროლა დაიწყეთ მხოლოდ ჩემი გასროლის შემდეგ, — გასცა განკარგულება გეგეჭკორმა.

გერმანელები ახლოვდებოდნენ. მარჯვენა და მარცხენა ფლანგებზე გაჩნდნენ ახალი ჯგუფები. ვითარება რთულდებოდა. მტრის მრავალრიცხოვანი ძალა დიდ საფრთხეს უქადდა ერთ მუჭა მებრძოლებს. მაგრამ საბჭოთა მებრძოლები დარწმუნებული იყვნენ თავიანთ ძალღონეში.

— არავითარ შემთხვევაში უკან არ დავიხევთ! — ასე ფიქრობდა თითოეული და იმზადებდა გრანატებს. გერმანელები მოახლოვდნენ. ისინი 70 იყვნენ.

— ცეცხლი! — დასძახა ამხ. გეგეჭკორმა და პირველივე ჯერით მოცელა სამი ფაშისტი.

ბრძოლა რამდენიმე წუთს გაგრძელდა. გერმანელები გააფთრებით მოიწევდნენ წინ. ჩვენ მრავალი ვაზნა და გრანატი დავხარჯეთ, უკვე გავანადგურეთ 30-მდე ჰიტლერელი. ჩვენს ჯგუფში კანიც კი არ გაჰკაწრვია ვისმეს. გეგეჭკორის მეთაურობით რაზმი პირდაპირი სროლით ჟლეტდა მტერს. მალე ხიშტით იერიშზე გადავედით. ერთს სამის წინააღმდეგ უხდებოდა ბრძოლა. ამხ. გეგეჭკორს ხელჩართული ბრძოლა მოუხდა ათ ჰიტლერელთან, რომლებიც ცდილობდნენ მამაცი მეთაურისა და მისი ორი მებრძოლის გარშემორტყმას. მათ უკანასკნელი გრანატები დააყარეს მტერს და თავისიანებს შეუერთდნენ.

გერმანელ ჯარისკაცთა და ოფიცერთა ორმოცი გვამი დარჩა ბრძოლის ველზე".

სსრ კავშირიდან გადაცემული ცნობების დამახინჯება ანატოლიის სააგენტოს მიერ

ანკარა, 6 ოქტომბერი (საკდესი). თავის ინფორმაციაში, რასაც ყველა თურქულ გაზეთს უგზავნის, ანატოლიის სააგენტომ ასოშიეიტედ პრესის კორესპონდენტის კითხვებზე ამხანაგ სტალინის მიერ მიცემული სამი პასუხიდან გამოაქვეყნა მხოლოდ ორი. ანატოლიის სააგენტომ სრულებით გამოსტოვა ამხანაგ სტალინის პასუხი კორესპონდენტის კითხვაზე იმის შესახებ, თუ მიმდინარე მდგომარეობის საბჭოთა შეფასებით რა ადგილი უჭირავს მეორე ფრონტის შესაძლებლობას.

ადგილობრივ ჟურნალისტთა წრეებში შენიშნეს, რომ ეს სრულიადაც არ არის პირველი ამგვარი შემთხვევა ანატოლიის სააგენტოს პრაქტიკაში, რომელსაც არა ერთხელ დაუმახინჯებია სსრ კავშირიდან გადაცემული ცნობები.

ასე, მაგალითად, ანატოლიის სააგენტომ გამოაქვეყნა რა საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე ბრძოლების ორი თვის (ამა წლის 15 მაისიდან 15 ივლისამდე) შედეგების შესახებ, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ გერმანელ ფაშისტთა ჯარებმა მოკლულთა, დაჭრილთა და ტყვედ წამოყვანილთა სახით სულ მცირე 900.000 ჯარისკაცი დაკარგეს, ამის ნაცვლად დაბეჭდა, რომ აღნიშნულ პერიოდში „გერმანელებმა 9.000 ჯარისკაცი დაჰკარგესო". საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე ბრძოლების სამი თვის (ამა წლის 15 მაისიდან 15 აგვისტომდე) შედეგების შესახებ საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობის გადაცემისას ანატოლიის სააგენტომ კვლავ დაუშვა დამახინჯება: საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობაში საბჭოთა ზარალის შესახებ დასახელებული ციფრის 606.000 მოკლული, დაჭრილი და უგზოუკვლოდ დაკარგული კაცის ნაცვლად, სააგენტომ მოათავსა ციფრი 1.606.000 კაცი. ჟურნალისტებს აგონდებათ ანატოლიის სააგენტოს ანალოგიურ „შეცდომათა" სხვა მაგალითიც: გამოაქვეყნა რა ერთხელ გერმანიის უმაღლესი სარდლობის მკვეხარა მტკიცება იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე გერმანიის მესანგრეთა ერთმა ბატალიონმა თითქოს „10.000 ნაღმი მოსპო", ანატოლიის სააგენტომ ეს ფრაზა გადააკეთა და განაცხადა, რომ „გერმანელთა ბატალიონმა 10.000 ჯარისკაცი მოსპო", ხოლო გაზეთმა „ულუსმა" ეს ფრაზა სენსაციურ სათაურად აირჩია.

პაპენზე „თავდასხმის" საქმის ხელახლა განხილვა

ანკარა, 6 ოქტომბერი (საკდესი). დღეს გაზეთმა „ულუსმა" შემდეგი ცნობა გამოაქვეყნა: „საკასაციო სასამართლოს პირველი სექცია განაგრძობს თავდასხმის საქმის გამო მსჯავრდადებულთა საკასაციო საჩივრების შესწავლას. საკასაციო სასამართლოს მთავარმა პროკურორმა ამ საქმის შესწავლა დაამთავრა. პროკურორმა თავის დასკვნაში მოითხოვა გაუქმებულ იქნას ანკარის სისხლის სამართლის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება, რადგან მან ამ გადაწყვეტილებაში დაინახა ზოგიერთი პროცესუალური ნორმის დარღვევა. საკასაციო სასამართლოს პირველი სექციის გადაწყვეტილებას ამ საქმეზე თვის დამლევს მოელიან".

ომი წყნარ ოკეანეში

მელბურნი, 8 ოქტომბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ოუენ-სტენლის სექტორში მოკავშირეთა ჯარები წინსვლას განაგრძობენ. მათ დაიკავეს თითქმის მთელი რაიონი, გარდა ქედის უღელტეხილის ზოგიერთი უბნისა. მოკავშირეთა ჯარები იმ პუნქტს მიადგნენ, საიდანაც კოკოდის გზა იწყება. როგორც ადგილობრივი მცხოვრებნი ამბობენ, იაპონელები, წააწყდნენ რა სიძნელეებს — ადგილმდებარეობის რთული ტოპოგრაფია, საომარი მასალისა და კვების პროდუქტების ნაკლებობა მოკავშირეთა ავიაციის აქტიურ მოქმედებასთან და წარმოშობილ ტროპიკულ დაავადებასთან დაკავშირებით, — იძულებული გახდნენ ეს რაიონები დაეტოვებინათ.

ნიუ-იორკი, 8 ოქტომბერი (საკდესი). ა. შ. შტატების საზღვაო სამინისტროს ცნობით, იაპონელებმა დასტოვეს მათ მიერ ალეუტის არქიპელაგის დასავლეთ ნაწილში დაკავებული კუნძულები ატუ და აგატუ.

ჰიტლერელი აგენტების დაპატიმრება ა. შ. შტატებში

ვაშინგტონი, 8 ოქტომბერი (საკდესი). ა. შ. შტატების იუსტიციის მინისტრ ბიდლის განცხადებით, პირლ-ჰარბორზე იაპონელთა თავდასხმის შემდეგ დაშლილი „გერმანია-ამერიკის კავშირი" თავის მოქმედებას განაგრძობს სხვადასხვა „კულტურულ საზოგადოებათა" და „სპორტულ კლუბთა" სახით.

მეხუთე კოლონასთან საბრძოლველად იუსტიციის სამინისტროს განზრახვა აქვს მოითხოვოს, რომ ამერიკის მოქალაქეობა ჩამოერთვას „გერმანია-ამერიკის კავშირის" ა. შ. შტატებში ნატურალიზებულ წევრებს. ეს შესაძლებელს გახდის მათს ინტერნირებას.

ამას წინათ ამერიკის ხელისუფლებმა გამოარკვიეს, რომ ა. შ. შტატებში გერმანულ ენაზე გამომავალი გაზეთები ფაშისტურ პროპაგანდას განაგრძობენ. მაგრამ თვალის ასახვევად ისინი თავს ისე აჩვენებენ, ვითომ მხარს უჭერენ ა. შ. შტატების საომარ ღონისძიებებს.

ნიუ-იორკი, 8 ოქტომბერი (საკდესი). ამერიკის ხელისუფალნი კვლავ აპატიმრებენ მტრული ქვეყნების აგენტებსა და იმ პირებს, ვინც საომარი პროგრამის განხორციელებას აბრკოლებს. უკანასკნელ დღეებში დაპატიმრებულია მტრული ქვეყნების 91 ქვეშევრდომი. ზოგიერთ მათგანს იარაღი აღმოაჩნდა.

ფრანგი ხალხი წინააღმდეგობას უწევს ჰიტლერელ ოკუპანტებს

ნიუ-იორკი, 7 ოქტომბერი (საკდესი). საფრანგეთიდან მიღებული ცნობები მოწმობენ, რომ ფრანგი ხალხი სულ უფრო და უფრო აძლიერებს წინააღმდეგობას გერმანელი ოკუპანტებისა და ვიშის მთავრობაში მყოფი მათი ლაქიებისადმი. როგორც გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" კორესპონდენტი ვიშიდან იუწყება, საფრანგეთის მოსახლეობა ყოველნაირად ხელს უშლის სურსათის გაზიდვას გერმანიაში. საოკუპაციო ხელისუფალნი და ვიშის მთავრობის აგენტები სურსათის მასობრივ რეკვიზიციას ახდენენ სოფლებსა და ქალაქებში. მაგრამ გერმანელები ძალიან ხშირად ვერ ახერხებენ ამ სურსათის გაზიდვას გერმანიაში, რადგან მოსახლეობა მას სპობს. აღნიშნულია ბევრი შემთხვევა, რომ ძირზე დასწვეს რეკვიზირებული ნათესები, ცეცხლი წაუკიდეს გაულეწავი პურის ძნეულებს, აგრეთვე რეკვიზირებული მარცვლეულის საწყობებს.

სასტიკ წინააღმდეგობას აწყდება აგრეთვე ლავალისა და გერმანელი ოკუპანტების ყოველი ცდა შეასრულონ გერმანიაში 350 ათასი მუშის გაგზავნის გეგმა. 5 ოქტომბერს ლიონში ააფეთქეს გერმანიის საწარმოებისათვის მუშახელის შემგროვებელი ჰიტლერელთა ბიუროს შენობა. ბიუროს შენობა მთლად დანგრეულია. საფრანგეთის ყველა ქალაქის საწარმოებში მუშების მღელვარება ხდება. გერმანიაში ფრანგების იძულებითი გაგზავნის წინააღმდეგ საპროტესტოდ რენოს ქარხნის მუშების გაფიცვა მხოლოდ მას შემდეგ ჩააქრეს, რაც საოკუპაციო ხელისუფლებმა ხელში ჩაიგდეს 50 მძევალი ქარხნის მუშათა რიცხვიდან.

ათასობით ფრანგი, ერიოს მაგალითისამებრ, დემონსტრატიულად უბრუნებს ვიშის ხელისუფალთ საპატიო ლეგიონის ორდენებს. პატრიოტებს სამარცხვინოდ მიაჩნიათ ეს ორდენი ატარონ მას შემდეგ, რაც ვიშის მთავრობამ ამ ორდენით დააჯილდოვა რამდენიმე ფრანგი, რომლებიც ჰიტლერელთა სამსახურში იმყოფებიან საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე.

ლავალს ჩაეშალა მუშახელის შეგროვების კამპანია

ჟენევა, 8 ოქტომბერი (საკდესი). საფრანგეთის მთავრობის ყოველი ღონისძიების მიუხედავად, გერმანიის მრეწველობისათვის მუშახელის შეგროვების ამ უკანასკნელი ხნის კამპანია საფრანგეთში ჩაიშალა. 100.000 მუშის ნაცვლად, რომლებსაც ლავალი ჰიტლერს უახლოესი ხნისათვის დაჰპირდა, 1 აგვისტოსათვის ძლივს მოახერხეს მთელ საფრანგეთში სულ 17.000 კაცის შეგროვება. ფრანგმა მუშებმა სწორად შეაფასეს შეგროვების კამპანიის აზრი და ლავალელ შემგროვებელთა სიყალბე. ჰიტლერის მექრთამე აგენტების ცდებს ისინი მასობრივი ბოიკოტით უპასუხებენ.

ლექციები და მოხსენებები

9 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, მოლოტოვის რაისაბჭოს შენობაში (პლეხანოვის პრ. № 40) შესდგება ამხ. სულეიმანის ლექცია რუსულ ენაზე. თემა: „სამამულო ომის მიმდინარე მომენტი და ჩვენი ამოცანები".

საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოებაში

11 ოქტომბერს, დღის 12 საათზე, ი. გოგებაშვილის სახ. ცენტრალური ბიბლიოთეკის დარბაზში (ჯავახიშვილის ქ. № 1) ამერიკის აღმოჩენის 450 წლისთავის აღსანიშნავად შესდგება საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების საჯარო საზეიმო სხდომა.

დასწრება თავისუფალია.

საქართველოს პირველობა ფეხბურთში

11 ოქტომბერს, საქართველოს პირველობისათვის ფეხბურთში შეჯიბრების მეორე დღეს, ქ. ფოთში ბორჯომის გუნდი ეთამაშება ფოთის გუნდს. თბილისში „დინამოს" დუბლ ოსტატთა გუნდი შეხვდება ბათუმის გუნდს.

პირველობის გათამაშების პირველ დღეს, 4 ოქტომბერს, ბათუმელებმა მოუგეს ბორჯომის გუნდს ანგარიშით 7 : 1, ხოლო „დინამოს" დუბლ ოსტატთა გუნდმა მოუგო ქუთაისს ანგარიშით 6 : 3.

თეატრებში

10 ოქტომბერს: საოპერო — „მთების გული". რუსთაველის სახელობის — „სხვისთვის სულელი, თავისთვის ჭკვიანი". მარჯანიშვილის სახელობის — „გრიგალი". გრიბოედოვის სახელობის — „ბარბაროსები". სომხური თეატრი — „რუსი ხალხი". ახუნდოვის სახელობის — „ჰაჯი ყარა". მუსიკალური კომედიის — „სილვა". სანკულტურის — „ხალხის რჩეული". მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი — „წითელქუდა". მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრი — „ვასილისა მშვენიერი და ივანუშკა". მოზარდ მაყურებელთა სომხური თეატრი — „ბედნიერება".

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ., ოქტომბერი და სპარტაკი—„ალექსანდრე პარხომენკო", დამკვრელი — „მე დავბრუნდები", კომკავშირელი—„მეგობრები", ლუქსემბურგის სახ. — „ანტონ ივანეს-ძე ჯავრობს", 26 კომ. სახ.—„ლენინგრადი ბრძოლაში", კომინტერნი — „გიორგი სააკაძე", მეცნიერება და ცოდნა — „ალამასების ხეობა".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აცხადებს, რომ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ა. წ. 20 ოქტომბერს დღის 1 საათზე (მთავარი შენობა მარის ქ. № 1, აუდიტ. № 86), **ი. ნ. შაქარიშვილი** დაიცავს დისერტაციას გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: „**მდინარეთა დონეების დამუშავების უმთავრესი ხერხები** (საქართველოს მასალების მიხედვით).

ოფიციალური ოპონენტები გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი პროფ. ა. ი. ჯავახიშვილი, ფიზ.-მათემ. მეცნ. კანდიდატი დოცენტი მ. ო. კორძახია.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორი დ. ყიფშიძე

ლანჩხუთის რაიონის ლაშის-ღელის ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობის წევრები იუწყებიან, რომ 11/X, 2 ს. აგარაკის სასაფლაოზე დანიშნულია

ვალენტინ კონსტანტინეს-ძე ცინცაძის

სამოქ. პანაშვიდი. 1270

თბილისის მოლოტოვის სახელობის რაისაბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების თანამშრომლები იუწყებიან სახ. შემოსავლის უფროს ინსპექტორ თედო ბაკურაძის ძმის

მინა ვასილის-ძე ბაკურაძის

გარდაცვალებას. 1272

---

26 კომ. სახ. რაიჯანგანყოფილების მე-7 პოლიკლინიკის თანამშრომლები იუწყებიან ამავე პოლიკლინიკის თანამშრომლის მარიამ თუხარელის შვილის

სერგოს

გარდაცვალებას. 1278

თბილისის ქალაქის საბჭოს ადგ. მრეწვ. განყ. საწარმოო კომბინატის თანამშრომლები იუწყებიან, რომ 11 ოქტომბერს დღის 5 საათზე ქ. ქუთაისში დანიშნულია შ. სუპატაშვილის ცოლისძმის

ალექსანდრე (აჩიკო) ვიქტორის-ძე ცირიკიძის

სამოქ. პანაშვიდი.

№ ჰოსპიტლის მომუშავენი იუწყებიან ალექსანდრე კახიანის მამის

კონსტანტინე ივლიანეს-ძე კახიანის

გარდაცვალებას. გამოსვენება 11/X, ჯავახიშვილის ქ. შესახვევი (ყოფ. იზმაილოვის) № 6. 1275

არტელ „მკერავთა გაერთიანების" გამგეობა იუწყება, რომ 11/X, 2 ს. ვერის ძველ სასაფლაოზე დანიშნულია შუშიკო ოზიაშვილის ძმის

ზალიკო (შალვა) გიორგის-ძე ოზიაშვილის

სამოქ. პანაშვიდი. 1274

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 11103